საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სხდომის

ოქმი #50

2021 წელი 24 მაისი 12 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ო.გრიგოლია,
ა.ხუჯაძე, ლ.დარახველიძე
ქ.ჯოხაძე,

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტეის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლევან არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიმდინარე პროექტების შესახებ

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ ისაუბრა ახალი კორონა ვირუსის პანდემიიდან გამომდინარე თბილისში მცირე და საშუალო ზომის სარესტორნო ბიზნესისათვის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში კანდიდატთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე.

ქ.თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნო ბიზნესისათვის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში, სუბსიდირებას დაექვემდებარება ობიექტი, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) ობიექტი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული უნდა იყოს 2020 წლის 28 ნოემბრამდე და გააჩნდეს აქტიური სტატუსი (არ იყოს ლიკვიდირებული)

ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სალარო აპარატის ბრუნვის მიხედვით ობიექტის ბრუნვის მონაცემთა ჯამი 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარში უნდა იყოს 0-დან არა უმეტეს 100 000 ლარისა

გ) ობიექტს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის mier 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილსერვის ჯგუფი"-ს მონაცემების მიხედვით 2020 წლის ოქტომბრის თვეში უნდა უდასტურდებოდეს დასაჯდომი ადგილების რაოდენობა ერთ მისამართზე 20-დან 80 სკამის ჩათვლით. ამასთან, თუ 2020 წლის განმავლობაში ახალი კორონა ვირუსის covid 19 პანდემიის გამო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე ობიექტს შეუმცირდა სკამების რაოდენობა აღნიშნული მიიღება საპატიო გარემოებად.

უფლებამოსილმა პირმა ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურს უნდა წარუდგინოს;

ა) განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან,რომლის მიხედვით ობიექტი რეგისტრირებული უნდა იყოს 2020 წლის 28 ნოემბრამდე და გააჩნდეს აქტიურის სტატუსი

ბ) სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ გაცემული სალარო, აპარატის ბრუნვის მონაცემები, რომლის მიხედვითაც ობიექტის ბრუნვის მონაცემთა ჯამი 2020 წლის დეკემბერსა და 2021 წლის იანვარში უნდა იყოს 0-დან არა უმეტეს 100 000 ლარისა

გ) დაგვა-დასუფთავებისა და ნარჩენების მართვის მომსახურების გადახდის ქვითარი ან/და „თბილსერვის ჯგუფიდან" გადახდის დეტალური ინფორმაცია, რომლითაც დადასტურდება 2020 წლის დეკემბრის თვეში დასაჯდომი ადგილების რაოდენობა ერთ მისამართზე 20-დან 80 სკამის ჩათვლით.. ამასთან ობიექტი, რომელიც არ მუშაობდა 2020 წლის ოქტომბრის თვეში წარმოადგენს 2020 წლის გადახდის ბოლო მონაცემებს.

დ) სსიპ - შემოსავლების სამსახურის მიერ 2020 წლის ოქტომბრის თვის შრომითი დეკლარაცია თანამშრომელთა რაოდენობის განსასაზღვრავად იმ ობიექტებისათვის, რომელსაც არ გააჩნია სკამების რაოდენობის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტაცია. თანამშრომელთა რაოდენობა ერთ ობიექტზე არ უნდა აღემატებოდეს 20 დასაქმებულს.

ე) ობიექტის სრული საბანკო რეკვიზიტები

ქ.თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნო ბიზნესისათვის სუბსიდირების პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად დაფინსდება:

ა) 5000 ლარით ერთი მეწარმე სუბიექტიი, რომელიც ოპერირებას უწევს მხოლოდ ერთ ობიექტს

ბ) 10 000 ლარით ერთი მეწარმე სუბიექტი, რომელიც ოპერირებას უწევს მხოლოდ ორ ან ორზე მეტ ობიექტს

ქ.თბილისში, მცირე და საშუალო ზომის სარესტორნო ბიზნესისათვის სუბსიდირების პროგრამით ვერ ისარგებლებს ის ობიექტი, რომელიც წარმოადგენს:

ა) საბანკეტო-სარიტუალო დარბაზს;

ბ) საერთაშორისო ქსელის დარბაზს ან ფრენშაიზს

გ) სასტუმროში, საავადმყოფოში, ავტოსამრეცხაოში, სასწავლო დაწესებულებაში, სურსათის მაღაზიასა და სუპერმარკეტში განთავსებულ კვების ობიექტს, რომელიც არის აღნიშნულ სასტუმროში, საავადმყოფოს, ავტოსამრეცხაოს, სასწავლო დაწესებულების, სურსათის მაღაზიასა და ჰიპერმარკეტის იურიდიული პირის დაქვემდებარების ქვეშ და არ აქვს სარგებლობის უფლებით აღებული ფართი ზემოაღნიშნული ობიექტებისაგან.

დღეის მდგომარეობით სულ შემოსულია 435 განცხადება. 114 დაკმაყოფილებულია და გაცემულია 620 000 ლარი. 180 აკმაყოფილებს მოთხოვნებს და მათზე გაიცემა 935 000 ლარი. 89 ობიექტის მიმართ მიმდინარეობს მოკვლევა და როგორც კი მოხდება ხარვეზების აღმოფხვრა, მოხდება მათი დაკმაყოფილება. სულ აღნიშნულ პროექტზე გათვალისწინებულია 2 მილიონი ლარის სუბსიდია.

კომისიის წევრებმა დადებითად შეაფასეს მიმდინარე საკითხები და გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე შეთანხმდნენ

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე